# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/გ

ქ. თბილისი 23 მაისი 2014 წ.

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ **შპს „რეგიონმედიამარკეტი"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ალექსიშვილის სახით.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში მიღებული მიზნობრივი გრანტის 2014 წელს გამოყოფილი ასიგნებებით, სატელევიზიო და რადიომომსახურებების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-92200000 – სატელევიზიო და რადიომომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **4899** (ოთხიათასრვაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, გარდა დ.ღ.გ-სა (აღნიშნული პროექტი იბეგრება დ.ღ.გ-ს „0"-ვანი განაკვეთით, რაც დაფიქსირებულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე - www.rs.ge - საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრი: პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელება - სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი", ს/კ - 205169592; საერთაშორისო ხელსეკრულების დასახელება - „საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის (UNDP)" 2008 წლის 8 თებერვლის შეთანხმება; პროექტის დასახელება: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში).

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

3.1 შესყიდვის ობიექტია „შემსყიდველის" კუთვნილი ოჯახში ძალადობის თემატიკაზე მომზადებული 15 წამიანი ვიდეო და აუდიო რგოლის განთავსება ტელეკომპანია „რიონისა" და რადიო „ძველი ქალაქის" ეთერში, ასევე ოჯახში ძალადობის თემატიკაზე სიუჟეტის მომზადება და მისი ტელეკომპანია „რიონის" ეთერში განთავსება.

3.2 შესყიდვის ობიექტის ყოველდღიური გაშვების რაოდენობა, ხანგრძლივობა, ჯამური წუთების რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1 მომსახურების მიწოდება დაიწყება 2014 წლის 24 მაისიდან და გაგრძელდება 2014 წლის 22 ივნისის ჩათვლით, დანართი #1-ში მითითებული რაოდენობით.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2. მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს „მედია-მონიტორინგის" ამსახველ დოკუმენტს, მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**6. ანგარიშსწორების პირობები**

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას ხელშეკრულების 6.3 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი";

7.1.3. მომსახურების გაწევის დასრულების შემდგომ მიაწოდოს „შემსყიდველს" „მედია-მონიტორინგის" ამსახველი დოკუმენტაცია.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

**8. მხარეთა უფლება**

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხოდ/არაჯეროვნად გაწეული მომსახურების მიღებაზე.

**9. ფორს-მაჟორი**

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით,

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**
14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**15. ინსპექტირების პირობები**
15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ფონდის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი/პირები.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის/პირების ფუნქციებია:
15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;
15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**17. განსაკუთრებული პირობები**
17.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'' ორი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან".

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" | შპს „რეგიონმედიამარკეტი„ |
| ქ. თბილისი, წერეთლის 144. | ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, I მ/რ, |
| სახელმწიფო ხაზინა | კორპუსი#26, ბ#19. |
| კოდი № TRESGE22 | ს/ს ლიბერთი ბანკი |
| ა/ა №GE24NB0330100200165022 | კოდი №LBRTGE22 |
| ს/კ № 205169592 | ა/ა № GE77LB0113118522547000. |
| | ს/კ №406060328. |
| მარინა მესხი | ლევან ალექსიშვილი |
| დირექტორი | დირექტორი |

დანართი #1

მედია გეგმა

| # | ტელეკომპანია | მომსახურების დასახელება | CPV | ყოველდღიური გაშვების რაოდენობა | სარეკლამო რგოლის/სიუჟეტის ხანგრძლივობა | წუთების რაოდენობა 30 დღეზე | 1 წუთის ღირებულება(ლარი) | ღირებულება30 დღეზე (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „რიონი“ | სარეკლამო რგოლის განთავსება | 92220000 | 24 | 15 წამი | 180 წუთი | 17,5 | 3150 |
| 2 | „რიონი“ | 4 სიუჟეტის მომზადება და ეთერში გასვლა | 92220000 | კვირაში 1-ჯერ, ჯამში 4-ჯერ. | 180 წამი | 12 წუთი | 85,0 | 1020 |
| 3 | რადიო „ძველი ქალაქი“ | რადიო რგოლის განთავსება | 92210000 | 12 | 15 წამი | 90 წუთი | 8,1 | 729 |
| ჯამში | | | | | | | | 4 899 ლარი |

„შემსყიდველი“
სსიპ “ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „რეგიონმედიამარკეტი„

ლევან ალექსიშვილი
დირექტორი